ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3386928

ნომერი: AR1507899

თარიღი : 29.05.2017

გაცემის თარიღი : 11.07.2017

გაცნობის თარიღი : 12.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თაბუკაშვილის ქუჩა N7; 9; 11; 11ა; 16; 18; 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ თაბუკაშვილი პ/ნ 01024024617
- თბილისი ლ.თაბუკაშვილის ქ. N 7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 29 მაისის #AR1507899 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩა NN7-9-11-11ა-16-18-19-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას.

პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხი განხილულ იქნა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2017 წლის 6 ივლისის #27 სხდომაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 14 ნოემბრის #3209 განკარგულებაში ცვლილების შეტანის მიზნით, კერძოდ „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, თაბუკაშვილის ქ. N7;9;11;11ა;16;18;19-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) კ2=6,0 დაფიქსირება", სადაც გაიცა დადებითი რეკომენდაცია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების დასამტკიცებლად საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრის – კონკრეტულად კ–2=6.0 მოსაკრებლის დაანგარიშების დასკვნა დამოწმებული შესაბამისი საექსპერტო უწყების მიერ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 20 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 29 მაისის #AR1507899 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.